**საქართველო**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**მთავრობის თავმჯდომარის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 49

2012 წლის 6 მარტი ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2012 წლის 29 თებერვლის N01–10/1076 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) მყიდველი ვალდებულია 2012 წლის პირველ მაისამდე განახორციელოს საქალაქთაშორისო ავტოსადგურისა და მასთან დაკავშირებული ღია ავტოპარკის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა.“

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. ბოლქვაძე) ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლევან ვარშალომიძე

# საქართველო
# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# მთავრობის თავმჯდომარის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 51

2014 წლის 4 აპრილი ქ. ბათუმი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 28 მარტის №01–10/1277 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8, მე-12 მუხლის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №46 განკარგულების შესაბამისად:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მყიდველი ვალდებულია 2015 წლის 17 იანვრამდე განახორციელოს შოუ-რუმებისა (ღია-დახურული) და სავაჭრო ცენტრის (რომელიც მოიცავს კვების პროდუქტების მარკეტს, შენობა-მარკეტს, აუთლეტს, მაღაზიებს, სწრაფი კვების ობიექტებს, სათამაშო დარბაზებს და სხვა) და მათთან დაკავშირებული ღია ავტო-პარკის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა;

ე) მყიდველი ვალდებულია აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით მოახდინოს არანაკლებ 13 127 800 (ცამეტი მილიონ ას ოცდაშვიდი ათას რვაასი) აშშ დოლარის ინვესტიცია;"

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (დ.ბალაძე) ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

114

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

არჩილ ხაბაძე

# საქართველო
# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# მთავრობის თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 119

2012 წლის 1 ივნისი ქ. ბათუმი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2012 წლის 31 მაისის N01–10/2541 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია“-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის №254 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მყიდველი ვალდებულია 2012 წლის 29 ივნისამდე განახორციელოს საქალაქთაშორისო ავტოსადგურისა და მასთან დაკავშირებული ღია ავტოპარკის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა.“

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. ბოლქვაძე) ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლევან ვარშალომიძე

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 113

2011 წლის 12 ივლისი ქ. ბათუმი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია"–სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის N254 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 8 ივლისის N01-10/2456 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-5, მე-8 და მე–12-ე მუხლების შესაბამისად:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია"–სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 22 დეკემბრის N254 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანების 1–ლი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1[1]" პუნქტი:

„1[1]. სს „ავრასია ჯორჯია"–ს პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ერთ ლოტად, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს ქ. ბათუმში, გოგოლის ქ. N1–ვ–ში მდებარე სახლი N10, ბინა N1–ბ 74,88 კვ. მეტრი შენობა–ნაგებობა და მასზე წილობრივად მიმაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N05.29.17.004.01.502), ქ. ბათუმში, გოგოლის ქ. N1–ვ–ში მდებარე სახლი N10, ბინა N3 72,76 კვ. მეტრი შენობა–ნაგებობა და მასზე წილობრივად მიმაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N05.29.17.004.01.003), ქ. ბათუმში, გოგოლის ქ. N1–ვ–ში მდებარე სახლი N10, ბინა N4 75,38 კვ. მეტრი შენობა–ნაგებობა და მასზე წილობრივად მიმაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N05.29.17.004.01.004) და ქ. ბათუმში, გოგოლის ქ. N1–ვ–ში მდებარე სახლი N10, ბინა N8 61,32 კვ. მეტრი შენობა–ნაგებობა და მასზე წილობრივად მიმაგრებული მიწის ნაკვეთი (ს/კ N05.29.17.004.01.008).

ა. შესაბამისი შეთანხმების აქტის გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაში მცხოვრებ პირებს (მოსარგებლეებს) უძრავი ქონების გამოთავისუფლების სანაცვლოდ გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა.".

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ([illegible] ბოლქვაძე) ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებ-ლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლევან ვარშალომიძე

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 254

2010 წლის 22 დეკემბერი ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „ავრასია ჯორჯია"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ**

...ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2010 წლის ...მბრის N01-22/5466 წერილის გათვალისწინებით და „აჭარის ავტონომიური რესპუბ-...ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ...მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, გოგო-... N1-ში მდებარე 8202.4 კვ.მ. შენობა-ნაგებობები და 109 098 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო ...ების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო №05.29.17.026) ...რი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაეცეს სს „ავრასია ჯორჯია"-ს შემდეგი ...ბით:

ა) საპრივატიზებო თანხად განისაზღვროს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი, რომელიც ...ლი უნდა იქნას შემდეგი გრაფიკის დაცვით: 500 000 ლარი 2011 წლის 31 იანვ-... 500 000 ლარი 2011 წლის 30 აპრილამდე, 500 000 ლარი 2011 წლის 31 აგვისტომდე და ... ლარი 2011 წლის 31 დეკემბრამდე;

ბ) მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 თვის ვადაში განახორ-... საქალაქთაშორისო ავტოსადგურისა და მასთან დაკავშირებული ღია ავტო-პარკის ...ობა და ექსპლუატაციაში შეყვანა.

გ) მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის ვადაში განახორ-... ...ა ბაზარის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა.

01788

დ) მყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 36 თვის ვადაში განახორ-ციელოს სავაჭრო ცენტრისა და მასთან დაკავშირებული ღია ავტო-პარკის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა.

ე) მყიდველი ვალდებულია აღნიშნული პროექტის განხორციელების მიზნით განახორციელოს არანაკლებ 14 000 000 (თოთხმეტი მილიონი) აშშ დოლარის ღირებულების ინვეს-ტიცია.

ვ) ექსპლუატაციაში შესულ ობიექტებზე დასაქმებულ პირთა არანაკლებ 90%-ს უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. [illegible]ძე) ამ ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

[illegible] ვარშალომიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქმისწარმოების დეპარტამენტი № 1